სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომიოს ოქმი

ოქმი N1

14/05/2014 წ

დ.მესტია

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

- *კომისიის თავმჯდომარე:*
  - *ვახტანგ ნაკანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარის მ/შ;
- კომისიის წევრები:
  - *კაპიტონ ჟორჟოლიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებელი;
  - *მაიზერ ჯაფარიძე* – მესტიის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;
  - *თემურ ნავერიანი* – მესტიის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურის უფროსი ;
- *კომისიის აპარატის წევრები:*
  - *მარიამ ნაკანი* - მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესყიდვების განყოფილების უფროსი;

დღის წესრიგი:

მესტიის მუნიციპალიტეტის მიერ 2014 წლის 08 მაისს გამოცხადებული N1233კონკურსი.

1) ფარჯიანის ქუჩა №6 18 ბინიანი საცხოვრებელი სახლის ტერიტორიის გამაგრება ბეტონის კედლით.
2) საზოგადოებრივი საპირფარეშოს შენომაში სანიტარული კვანძების და ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობა.
3) ბეთლემის ჩიხი, სამანქანო გზის საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.
4) დ. აღმაშენებლის და მ. ხერგიანის ქუჩების დამაკავშირებელი ქუჩის საყრდენი კედლების რეაბილიტაცია.
5) ა. ხერგიანის ქუჩაზე საყრდენი კედლების გამაგრება.
6) ა. ხერგიანის ქუჩაზე საყრდენი ქვის კედლის რეაბილიტაცია საპატრიარქოსთან.
7) ლეხთაგის უბანში სამარხილე გზის გაფართოება.
8) სოფ. იფარის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის შემოსასვლელი გზის გამაგრება.
9) იფარ–ადიშის სამანქანო გზის კეთილმოწყობა და გზის დამცავი გაბიონების მშენებლობა.
10) „ჩვაბიანის „ ღელის განტვირთვა და დამცავი გაბიონების მშენებლობა.
11) ქვ. იფარის დამაკავშირებელი დაკიდული ხიდის მშენებლობა.

12) „ნესგუნის“ მთაზე სამარხილე გზის რეაბილიტაცია.
13) „კაერის“ დასახლებაში სამანქანო გზის მოსწორება და გაბიონების მშენებლობა.
14) სგურიშ–ლარილარის გამაკავშირებელი სამანქანო რკინის ხიდის გადასასველელის მოწყობა.
15) სოფ. ქართვანის სამარხილე რკინის სახიდე გადასასვლელისა და მასთან დაკავშირებული სამანქანო გზის მოწყობა.
16) სოფ. კალის წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის კელიების მშენებლობა.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა–ზე განაცხადი შემოიტანა ერტმა პრეტენდენტმა.

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“–ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას.

განხილვის შედეგად აღმოჩნდა,რომ კონკურსანტის ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება,საგადასახადო დავალება და თანდართული დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებაში მოთხოვნილ პირობებს და „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის #3 ბრძანების მე–6 მუხლით“ განსაზღვრულ მონაცემებს.

ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“–ს მიერ წარმოდგენილი იყო კონვერტზე დაკრული ქვითარი კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებლად. კონვერტში მოთავსებული იყო რეკვიზიტები, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, გამოცდილება და საკონკურსო წინადადება. საკონკურსო თანხა თავდაპირველად 6000 ლარი იყო ხოლო კონკურსანტმა წინადადებაში დააფიქსირა 6000 (ექვსიათასი) ლარი.

კომისიამ დაადგინა:

კომისიამ დაადგინა,რომ ი/მ „ნესტორ ფირცხელანი“, გამოვლინდეს გამარჯვებულად N1233 კონკურსში თანხით 6000 ლარი, გაფორმდეს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით ხელშეკრულება ,ხოლო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდრულ დღეში კონკურსანტმა, უნდა წარმოადგინოს დასრულებული საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რის შემდგომაც გაფორმდება მიღება–ჩაბარების აქტი.

კომისიის თავმჯდომარე: ვ.ნაკანი

კომისიის წევრები: კ.ჟორჟოლიანი

მ.ჯაფარიძე

თ.ნავერიანი

კომისიის აპარატის წევრები: მ.ნაკანი